

**„მშვიდობის რექტორი“ საქართველოს, კავკასიის და საერთაშორისო  
უსაფრთხოების სამსახურში**

7 ივნისს 14.00 ფიზიკის ინსტიტუტში ჩატარდება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელის, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციალურ მეცნიერებათა და მართვის ინსტიტუტის კოორდინატორის, პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების წევრის, ფაზისის აკადემიის წევრის, პოლიტიკურ მეცნიერებათა და მორალის აკადემიის თანადამფუძნებლის, ფსიქოლოგიის დოქტორის - ა.რუსეცკის მოხსენება თემაზე -

**„მეტაკოგნიტური მართვის თეორია - ქართული ბირთვული დიპლომატიის  
შესაძლებლობები“.**

მოხსენება მომზადებულია კსუ-ის სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის (2022-2023) - „პოლიტიკური გადაწყვეტილებების ლასველ - ფლაიველისმეტაკოგნიტური სამეცნიერო მონიტორინგის სისტემა“. პროექტის მთავარი მიზანია - პოლიტიკური პროცესების მართვის ხარისხის ზრდა - მსხვერპლის მინიმალიზაცია, კრიზისების პოზიტიური ტრანსფორმაცია და განვითარება.

პროექტი წარმოადგენს ავტორის (კონფლიქტოლოგიის დარგში) მეორე სადისერტაციო ნაშრომის დისიმინაციის გეგმის შესრულების და მეტაკოგნიტური მართვის თეორიის პრაქტიკული აპრობაციის შესაძლებლობას. პროექტი ქრონოლოგიურად წარმოადგენს შოთა რუსთაველის სახელობის მეცნიერების ეროვნული ფონდის ჩარჩოში საკონკურსო წესით მიღებული გრანტის (2018-2021) გაგრძელებას.

ელეფტერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში წარმოდგენილი მოხსენების მიზანია, საქართველოს და კავკასიის რეგიონის სტრატეგიული უსაფრთხოების ხელშეწყობა და მეცნიერების ინტეგრაცია პოლიტიკური და გეოპოლიტიკური პროცესების მართვაში.

მოხსენების მთავარი ამოცანებია:

1. კავკასიის რეგიონის გამოცხადება „ბირთვული იარაღისგან თავისუფალ ზონად“, რომლის ტერიტორიაზეც შეთანხმებით აკრძალულია ბირთვული იარაღის განთავსება, ტრანზიტი, მათი მიწოდების საშუალებების არსებობა, ტესტირება და ბირთვული საბრძოლო მასალის წარმოება.
2. ბირთვული ობიექტების სოციალური ტრანსფორმაციის ევროპული და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის და ეფექტიანი გამოყენებით; გაეროს ჩარჩოში არსებული პროგრამის „Infrastructure for Peaceმცხეთის (I4P)“

ხელშეწყობით, ყოფილ ბირთვულ რეაქტორის და მიმდებარე ტერიტორიაზე კავკასიის ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების საერთაშორისო ცენტრის შექმნის იდეის რეალიზება.

3. ცენტრის მიზანია - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მიმართულებით ზომების მიღება ეროვნულ (საქართველო), კავკასიის რეგიონის და საერთაშორისო დონეებზე.
4. ეროვნულ განზომილებაში საქართველო შეიძლება გახდეს - ახალი ზელანდიის, მონგოლეთის და ბელორუსიის შემდეგ მსოფლიოში მეოთხე ქვეყანა და ამავე დროს ახალი „ანტიბირთვული კლუბის“ შემქმნელი. საქართველოს შეუძლია გამოიყენოს საერთაშორისო პოლიტიკაში დღემდე გამოუყენებელი შესაძლებლობა - „ბირთვული დიპლომატია“, რომელიც წარმოადგენს მეტაკოგნიტური მართვის თეორიის - მეტადიპლომატიის კონცეპტუალური სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. როგორც ანტიბირთვული ქვეყნების კოალიციის შემქმნელს, მას შეეძლება გაზარდოს საერთაშორისო ზეგავლენის შესაძლებლობები მაგალითად - უკრაინის კონფლიქტთან, ან ირან-ისრაელის კონფლიქტებთან მიმართებაში.
5. საქართველო შეიძლება გახდეს მსოფლიოში მეშვიდე ანტიბირთვული რეგიონის „კავკასიის“ შექმნის ინიციატორი. ამ ინიციატივის მეშვეობით, მას შეუძლია, მეტაკოგნიტური მართვის თეორიის - საერთო საფრთხეების გაცნობიერების კონცეპციის საფუძველზე, გააერთიანოს კონფლიქტში ჩართული მხარეები ერთი იდეის - უსაფრთხოების გარშემო. კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ჩარჩოში მიმდინარეობს ქვემოთ (ქრონოლოგიური წესით) ჩამოთვლილი რეგიონების კვლევა და მათი გამოცდებილების გამოყენება კავკასიისთვის.
  - ანტარქტიდის რეგიონი (1959 წლის ხელშეკრულება); ეს ხელშეკრულება არის მეტად მნიშვნელოვანი და სამაგალითო კავკასიის ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით და რეგიონში საერთაშორისო ინტერდისციპლინური კვლევების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით.
  - ლათინური ამერიკა (1967 წლის Tlatelolco-ს ხელშეკრულება); მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს შეთანხმება დაიდო ყარაიბის კრიზისის (1962) ფონზე და მოტივირებული იყო იმით, რომ ამ რეგიონის მცირე ქვეყნები არ გამხდარიყვნენ მსხვერპლი გეოპოლიტიკური მსხვილი აქტორების დაპირისპირებისა.
  - სამხრეთ წყნარი ოკეანე (რაროტონგას ხელშეკრულება 1985 წ.);
  - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია (1995 ბანგკოკის ხელშეკრულება);
  - აფრიკა (პელინდაბას ხელშეკრულება 1996 წ.);
  - ცენტრალური აზია (2006 წლის სემიპალატინსკის ხელშეკრულება);

**„მცხეთის ხელშეკრულებამ“** შეიძლება ითამაშოს სემიპალატინსკის ხელშეკრულების განვითარების როლი, რაც გააძლიერებდა კავკასია - ცენტრალური აზიის თანამშრომლობის პერესპექტივებს. ამ კონტექსტში, კვლევითი ჯგუფის მიერ

შემუშავებულია შავი ზღვის ბასეინის ჩართვა ამ პროცესში. კავკასია, ამ თვალსაზრისით წარმოადგენს საკვანძო რეგიონს.

6. ქართული სტრატეგიულ ინიციატივის შედეგად, მცხეთის რეაქტორის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას „უბირთვო კავკასიური ზონის“ საერთაშორისო კომისიის და აღმასრულებელი კომიტეტის შტაბ-ბინა. ამავე ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას საერთაშორისო მრავალმხრივი მოლაპარაკებებისათვის მორგებული ინფრასტრუქტურა.
7. ამ იდეების განხორციელება შეუძლებელია ბირთვული ფიზიკის და რადიოლოგიის სპეციალისტების გარეშე. მცხეთის რეაქტორის ტერიტორიას უნდა მიეცეს მშვიდობის კვლევების საერთაშორისო სტატუსი. ამავე დროს, საკადრო უზრუნველყოფის მიზნით აქ უნდა მომზადდნენ ახალი თაობის სპეციალისტები, რისთვისაც მიზანშეწონილია შესაბამისი საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების არსებობა. ამ თვალსაზრისით ეს შეიძლება იყოს თსუ-ს და მსოფლიოს ერთ-ერთი ელიტარული უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი.
8. საქართველოში, მცხეთის რეაქტორის (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას MAGATE-ს კავკასიის რეგიონული ოფისი და ასევე სხვა საერთაშორისო სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლობები.
9. აქვე შესაძლებელია განთავსდეს - მსოფლიოში არსებული „ბირთვული ომის მოწინააღმდეგე“ საერთაშორისო ორგანიზაციების მაკოორდინირებელი ცენტრი (კამპანია ბირთვული განიარაღებისთვის, დედამიწის მეგობრები, მსოფლიო მშვიდობის საბჭო, გრინპისი, მსოფლიო ექიმები ბირთვული ომის პრევენციისთვის, სამშვიდობო მოქმედებები და ბირთვული ინფორმაციისა და რესურსების სამსახური).
10. სივრცე შეიძლება შეიცავდეს საერთაშორისო სტანდარტების მულტიმედია-მუზეუმს და ტექნოცენტრს.
11. პროექტი ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაძლიერებას და ამავე დროს მიმდებარე ტერიტორიის ეფექტიან გამოყენებას საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით.
12. ცენტრი გახდება სამეცნიერო და საგანმანათლებლო ტურისტული ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი.

აქ არის წარმოდგენილი ჩვენს მიერ შემუშავებული ინიციატივების მცირე ნაწილი

პრეზენტაციის მეორე ნაწილში წარმოადგენილია ერთი მხრივ ამ კატეგორიის საფრთხეების ანალიზი, ხოლო მეორე მხრივ მათი საქართველოს ინტერესებში გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობები.

მოხსენებაში გამახვილებულია ყურადღება შემდეგ კითხვებზე:

1. როგორია ბირთვული და რადიაციული საფრთხეების ახალი გარემოება საქართველოსთვის და რა როლი აკისრია ამ პროცესში მეტაკოგნიტური მონიტორინგის და შეფასების სისტემას?
2. რამდენადაა საქართველო დაცული ახალი საფრთხეებისგან და როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ამისთვის მეტაკოგნიტური მართვის თეორიის შესაძლებლობები?
3. რამდენად აცნობიერებს ამ საფრთხეებს საზოგადოება, პოლიტიკური ელიტა?
4. შესაძლებელია თუ არა მცხეთის რეაქტორის ტერიტორიაზე საერთაშორისო პროექტის - სპეციალური „სიტუაციური ოთახის“ შექმნა და ამ საფრთხეების მოდელირება?

**ავტორი წარმოადგენს მეტაკოგნიტური მონიტორინგის, შეფასების და მართვის ერთ-ერთ მეთოდს - STI – ECA მეტაკოგნიტური მონიტორინგის სისტემას**

S - როგორ აისახება არსებული პრობლემა მეცნიერებაში? რამდენად არის მეცნიერთა მზაობა? ტარდება თუ არა ამ თვალსაზრისით მიზანდასახული კვლევები? რამდენადაა შესაძლებელი რომ ფიზიკის ინსტიტუტისთვის ეს მიმართულება გახდეს ერთ-ერთი პრიორიტეტული?

T - საფრთხეების პეევენციის და ზარალის მინიმალიზაციის ტექნოლოგიური მზაობის შეფასება - რამდენადაა უზრუნველყოფილი თანამედროვე ტექნოლოგიებით საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პოლიტიკა?

I - რამდენადაა გამოყენებული ინოვაციური პოტენციალი, ახალ და არასტანდარტულ საფრთხეებზე რეაგირების თვალსაზრისით? წარმოადგენს თუ არა ეს პრიორიტეტს GITA-ვის?

E - რამდენად აისახება ამ სფეროში არსებული საფრთხეები განათლების სისტემაზე და როგორია მისი რეაგირება, პირველ რიგში ბრ- უსაფრთხოების პოლიტიკის საკადრო უზრუნველყოფის საკითხთან მიმართებაში?

C - „ბირთვული მემკვიდრეობა“ - რამდენად არის დაფიქსირებული ეს საფრთხეები ეროვნულ კულტურაში კონკრეტული გამოცდილებით და ისტორიული მემკვიდრეობის კუთხით. რამდენადაა გაცნობიერებული ისტორიული პოზიტიური და უარყოფითი გამოცდილების აკუმულირების აუცილებლობა (მუზეუმის პროექტის იდეა)?

A - პრობლემის მართვის საჯარო ადმინისტრირების მეტაკოგნიტური მონიტორინგის აუცილებლობა - ინსტიტუციონალური სისტემების ეფექტიანობის შეფასება. რამდენადაა ადეკვატური მართვის არსებული სისტემა რეალურ საფრთხეებთან მიმართებაში?

#### **დაინტერესებული ორგანიზაციები:**

1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორია
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
4. საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტი
5. თავდაცვის სამინისტრო
6. შსს - საგანგებოს სიტუაციების მართვის სამსახური
7. საგარეო საქმეთა სამინისტრო
8. ელფეტერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი
9. შოთა რუსთაველის მეცნიერების განვითარების ფონდი
10. GITA
11. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
12. პოლიტიკის მეცნიერებათა და მორალის აკადემია
13. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია
14. ფაზისის აკადემია
15. საქართველოს არქიტექტორთა კავშირი
16. ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეა